ვახტანგ ჭარაია

მდგრადი განვითარების შესაძლებლობები საქართველოსა და ევროკავშირში

შესავალი

ისტორიული გადასახედიდან, დიდი დრო არაა გასული მას შემდეგ, რაც სახელმწიფოთა სახელისუფლებო ძალები მიხვდნენ თუ როგორი გადამწყვეტი როლი აქვს კერძო ინვესტიციებს, მათ შორის, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის პროცესში[1]. ეფექტური ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული და საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის წარმატებულობის კუთხით. კერძოდ, ე.წ. „განვითარებადი ქვეყნების" მთავრობებმა შედარებით მნიშვნელოვანი ზომები მიიღეს, რომელთა წახალისებაც მოხდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ სხვადასხვა სახის პოლიტიკის, მოდელური ხელშეკრულებებისა და ტექნიკური დახმარების ფარგლებში (როგორიცაა UNCTAD-ს საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვები).[2]

პროგრესისა და მიღებული გაკვეთილების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: 1. საინვესტიციო პოლიტიკის მიმაგრება მთლიანი განვითარების გეგმაზე; 2. გარანტირება, იმისა, რომ ინვესტიციები ეხმარება მდგრად განვითარებას; 3. საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა უფრო ძლიერი დაწესებულებების შესაქმნელად. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში შედარებით უფრო დიდია სურვილი ეკონომიკაში ინვესტიციების რაოდენობის ზრდისა, ვიდრე კონკრეტული ინვესტიციიდან შესაძლო შედეგების გამოანგარიშება ხანგრძლივვადიანი პერსპექტივით.[3]

მდგრადი ინვესტირების/განვითარების იდეა, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულში, აგრეთვე ცნობილია, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება/განვითარება (SRI) ან „მწვანე" ინვესტირება/განვითარება. მდგრადი ინვესტირება არის ინვესტიციის სახესხვაობა, რომელიც ორიენტირებულია როგორც ფინანსურ მოგებაზე, ასევე სოციალურ კეთილდღეობაზე. ფართო გაგებით, SRI ნიშნავს გარემოს დაცვის სოციალური ასპექტების ჩართულობას საინვესტიციო პროცესებში.[4] UNEP-ის მიხედვით, "მწვანე" ეკონომიკა არის „ადამიანთა გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, გარემო რისკებისა და ეკოლოგიური დეფიციტის მნიშვნელოვნად შემცირების გზით".[5] სწორედ ამიტომ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც საბოლოო ჯამში მიგვიყვანენ მდგრად ეკონომიკურ განვითარებამდე.

ზოგიერთი ბიზნესმენისათვის, მდგრადი განვითარება/ინვესტირება წარმოადგენს მხოლოდ მათი რეპუტაციის საკითხს და ისინი, როგორც წესი ერიდებიან ფულის დაბანდებას იარაღის, ალკოჰოლის და/ან თამბაქოს ბიზნესებში. სხვებს უბრალოდ არ სურთ მიეკუთვნებოდნენ იმ კომპანიათა რიცხვს, რომლებიც ზედმეტად აბინძურებენ ატმოსფეროს. ხოლო, ზოგიერთი რადიკალურად

---

1 ვ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმები პოსტ-კომუნისტურ საქართველოში, Nova Science Pub Inc, 2013.

2 გაერთიანებული ერების კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების ინვესტიციების შესახებ http://unctad.org/en/PublicationsLibrary/diaepcb2012d5_en.pdf

3 გაერთიანებული ერები, მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური კვლევა 2013, მდგრადი განვითარების გამოწვევები. http://sustainabledevelopment.un.org/content/documents/2843WESS2013.pdf

4 *ჯ. ისტს, სმარტ გრინ: როგორ განვახორციელოთ მდგრადი ბიზნესი ნებისმიერ მრეწველობაში …, ვილი, 2009.*

5 UNEP, "მწვანე ეკონომიკის მიმართულებით: გზა მდგრადი განვითარებისა და სიღატაკის აღმოფხვრისაკენ", 2011. გვ16.

მოაზროვნე ადამიანი კი აქტიურად ეძებს მათ, ვინც ახალ ნიადაგს ქმნის სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროებში.[6]

მდგრადი განვითარება გულისხმობს, რომ ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა და ბუნებრივი გარემო დაბალანსებულია. ამ მიზნით, უნდა შესრულდეს შემდეგი ძირითადი პრინციპები: 1. სოციალური პოლიტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკურ ზრდას და არ ახდენდეს გარემოს დეგრადირებას; 2. გარემოს დაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ეკონომიკურად მომგებიანი და, ბოლოს, 3. ეკონომიკური ზრდა წახალისებულ უნდა იქნას სოციალურ განვითარებასთან ერთად.[7] მართალია, ამ კრიტერიუმების მიღწევა ადვილი არ არის, თუმცა შეუძლებელიც არაფერია.

მისი საუკეთესო გაგებით, მდგრადი განვითარება (რაც აგრეთვე მოიცავს მდგრად ინვესტირებას) ნიშნავს - „განვითარებას, რაც აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს და თავის მხრივ, ხელს არ უშლის მომავალ თაობებს მათ დაკმაყოფილებაში“.[8] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ არ ვიზღუდებით განვითარებით დღეს, არამედ მოტივირებულნი ვართ, ვიფიქროთ გლობალურად და ვიყოთ უფრო მეტად შორსმჭვრეტელნი.

როგორც ჯ. ბლევიტი წერს - „მდგრადი განვითარება მარტივია. იგი არის მომავლის იდეა, რომელიც უნდა იყოს უკეთესი, უფრო ჯანსაღი ადგილი, ვიდრე აწმყოა“.[9] ქერი კროსინსკი და ნიკ რობინსი აცხადებენ, რომ მხოლოდ მდგრადი განვითარების მეგატრენდებისგან მომდინარე პერსპექტივებზე კონცენტრირებით არის შესაძლებელი ბიზნესი გახდეს ხვალინდელი დღის გამარჯვებული და ინვესტორები უბრალოდ ვერ შეძლებენ ამ ფაქტის იგნორირებას.[10]

გაეროს კონფერენცია მდგრადი განვითარების შესახებ (Rio+20) იუწყება, რომ გარემოს დაცვა ინტეგრირებულ უნდა იქნას ეკონომიკურ ზრდასთან და ორივე მათგანი უკავშირდებოდეს ცხოვრებისა და მუშაობის სათანადო პირობებსა და რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.[11]

ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად - საქართველოში მდგრადი განვითარება ახალი ტენდენციაა, რომელსაც „მიჰყვება“ საქართველოს მთავრობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ვალდებულებების აღების შემდგომ; თუმცა მისი ზოგიერთი საბაზისო საფუძველი გამოჩნდა ადრეულ 90-იანებში. ქართულ ჟურნალში - „ეკონომისტი“ 1992 და 1993 წელს დაბეჭდილი სტატიების მეცნიერ ავტორთა ჯგუფი, სახელწოდებით „ეკოსტატი“ (#12, 1992; #1, 1993), აცხადებს, რომ მდგრადი განვითარება უნდა განვიხილოთ, როგორც ერთად ერთი გზა საქართველოს სახელმწიფოს ყოველმხრივი სამომავლო განვითარებისაკენ.[12] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს თემა განხილულ იქნა ქართულ საზოგადოებაში დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე 90-იან წლებში, თუმცა ქართველი ერის წინაშე მდგარი პრობლემების გამო (ომები აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონში, თანმხლები ასტრონომიული ინფლაციის კოეფიციენტი), უბრალოდ შეუძლებელი იყო სამომავლო მდგრად განვითარებაზე ოცნებაც კი, შესაბმისად, ეკოსტატის მიერ შემოთავაზებული ინიციატივები დასაწყისშივე ჩავარდა.

---

6 მდგრადი განვითარების, მდგრადი ინვესტირების საერთაშორისო ინსტიტუტი http://www.iisd.org/business/banking/sus_investment.aspx

7 ლ. თოდუა, ს. მურღულია, მდგრადი განვითარება და რეფორმები საქართველოში, CSRDG, 2011 http://w3.cenn.org/wssl/uploads/files/Sustainable_Development_and_Reforms_in_Georgia_GEO.pdf

8 გაერო, “მსოფლიო კომისიის ანგარიში გარემოსა და განვითარების შესახებ ”, გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება 42/187, 1987.

9 ჯ. ბლევიტი, მდგრადი განვითარების გაგება., Earthscan, 2008.

10 *ქ. კროსინსკი, ნ. რობინსი, ევოლუციები მდგრად ინვესტირებაში: სტრატეგიები, სახსრები …, ვილი ფინანს, 2011.*

11 2013 ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მონიტორინგის ანგარიში, ევროსტატი, 2013 http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF

12 საქართველოს მდგრადი განვითარების იდეა http://european.ge/saqartvelos-mdgradi-ganvitarebis-koncefciistvis/

მეორეს მხრივ, თვით ევროკავშირსაც კი დიდი დრო დასჭირდა მდგრადი განვითარების აშკარა სარგებლის რეალიზებისათვის. მდგრადი განვითარების პირველი პოლიტიკა ევროკავშირმა მხოლოდ 2001 წელს მიიღო და მას შემდეგ რამდენჯერმე გადაიხედა.

ლეშჩეკ ბალცეროვიჩმა სამართლიანად შენიშნა, რომ საზოგადოება ეკოლოგიაზე სერიოზულად ფიქრს მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, რაც მშპ შემოსავალი სულზე აჭარბებს 5000 დოლარს და ამ თვალსაზრისით საქართველოს აქვს ბრწყინვალე შესაძლებლობა გაჰყვეს მდგრადი განვითარების გზას, განვითარებადი ქვეყნის რანგში, სადაც მშპ სულზე არის 3500 დოლარზე ოდნავ მეტი. თუმცა, ძლიერი პოლიტიკური ნება და ორიენტირება მდგრად განვითარებაზე საჭიროა მისი გეგმის შესაქმნელად, რომელსაც განუხრელად დაიცავს ყველა მონაწილე და მისცემს საშუალებას „არაეთიკურ“ ინვესტორებს, დაანგრიონ მომავალი კეთილდღეობა.

სანამ გადავალთ საქართველოსა და ევროკავშირის უშუალო შედარებაზე სხვადასხვა კრიტერიუმებით, შევხედოთ ძალიან საინტერესო სურათს №1, რომელიც დღეს-დღეობით ევროკავშირისა და საქართველოს რეალურ მდგომარეობას ასახავს. იგი ნათლად აჩვენებს მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურას. ამ სურათის მიხედვით ევროკავშირს აქვს მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა და სხვათა შორის, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია (ექსპორტი - 21% და იმპორტი - 29%). [13]

სურათი №1. *ევროკავშირი და საქართველო მსოფლიოს სხვა ეკონომიკებთან შედარებით, 2012*[14]



წყარო: *მსოფლიო ბანკი*

მდგრადი განვითარების ინდიკატორები

ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგიის თანახმად, არსებობს მდგრადი განვითარების 10 ინდიკატორი (SDI):

1. სოციოეკონომიკური განვითარება.

მსოფლიო ბანკის ოფიციალური მონაცემების თანახმად, სულზე საშუალო რეალური მშპ ევროკავშირში არის $23.300 (ყველაზე აყვავებული ლუქსემბურგი – $91.388 ყველაზე ნაკლებ აყვავებული რუმინეთი – $16.518) მაშინ, როცა საქართველოში ის უტოლდება მხოლოდ $3.6 ათასს. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველო წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბი-

[13] საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

[14] *NB: ბუშტების ზომა ასახავს მოსახლეობის მოცულობას.*

ჯებით აუმჯობესებს ამ პარამეტრს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი თავად ევროკავშირში მერყეობს და ბოლო წლებში მცირდება კიდეც (იხ. სურათები №2 და №3).

სურათი №2. *რეალური მშპ სულზე ევროპაში (2012 წელი).*



წყარო: *მსოფლიო ბანკი*

2008 წლის ეკონონომიკურ კრიზისამდე, ევროკავშირში მშპ სულზე იზრდებოდა რეგულარულად დაახლოებით 2,0%-ით. ეს ტენდენცია 2009 წელს შეწყდა უეცარი 4.8%-იანი ეკონომიკური ვარდნით. როგორც სურათზე №3 ჩანს, ზრდის ტენდენცია (%-ში) რამდენჯერმე მაღალი იყო საქართველოში ევროკავშირთან შედარებით და მთელი მსოფლიოს მსგავსად, 2008 წლის კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია გავლენა იმავე წელს მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომთან ერთად. თუმცა, ევროკავშირის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკებისგან განსხვავებით, საქართველო ზრდის ტენდენციას მალევე დაუბრუნდა და შემცირების გზაზე აღარც წასულა, 4.55 მილიარდი დოლარის ოდენობის (მათ შორის $3.7 მილიარდი საჯარო სესხებსა და გრანტებში და $850 მილიონი კერძო სექტორისგან)[15] საერთაშორისო ფინანსური დახმარების წყალობით.

სურათი №3. *რეალური მშპ სულზე ევროკავშირში და საქართველოში (2006-2012 წლები)*



წყარო: *მსოფლიო ბანკი და საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო (Geostat).*

[15] *ომისგან დაზარალებულმა საქართველომ მიიღო $4.55 მილიარდის დახმარება http://articles.latimes.com/2008/oct/23/world/fg-briefs23*

2012 წლის „კავკასიის ბარომეტრის“ მიხედვით, უმუშევრობა საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.[16] შესაბამისად, მისი გადაწყვეტის დაპირებები ყოველთვის უმთავრესი პრიორიტეტია საქართველოს მმართველი ძალებისათვის, მაგრამ აქამდე არაფერი შეცვლილა, გარდა დასაქმების ყალბი პოლიტიკებისა.

ევროკავშირში უმუშევრობის კოეფიციენტმა ზრდა დაიწყო 2008 წლიდან და 2012 წელს თავის ისტორიულ მაქსიმუმს 10.5%-ს მიაღწია. 2012 წელს, უმუშევრობის უმაღლესი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები იყვნენ: ესპანეთი - 25.0% და საბერძნეთი - 24.3%; საწინააღმდეგო მხარეს იყვნენ: ავსტრია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და გერმანია, მაჩვენებლებით 4.3 % და 5.5 % შორის. ამავდროულად, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოში უმუშევრობა შემცირდა 16.5% დან 15.0% მდე[17]. თუმცა, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ ეს ციფრი ბევრად მაღალია და არაოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად უტოლდება დაახლოებით 50%-ს, თუ გავითვალისწინებთ უმუშევარ ადამიანთა რიცხვს სოფლებში, რომლებიც ე.წ თვით-დასაქმებულებად მოიხსენიებიან.

უმუშევრობის მაჩვენებელზე უფრო დეტალური დაკვირვება გვიჩვენებს, რომ 25 წელს ქვემოთ ახალგაზრდებზე უფრო მეტად ახდენს გავლენას შრომის ბაზრის გაუარესება, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე. 2008 წლიდან მოყოლებული, უმუშევრობა ახალგაზრდა თაობაში გაიზარდა შვიდი პროცენტით, და 2012 წელს 22.9 %-ს მიაღწია. მდგომარეობა საქართველოში უფრო უარესია, სადაც უმუშევრობის კოეფიციენტი დროის ამავე პერიოდში იმავე ასაკობრივ ჯგუფებში მხოლოდ 2%-ით მაგრამ რეალურად 35%-მდე გაიზარდა.[18]

2. სათანადო მმართველობა.

როგორ მივაღწიოთ სათანადო მმართველობას? ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგიის თანახმად, შემდეგი 5 პრინციპის შესრულებაა აუცილებელი: 1) გახსნილობა, 2) მონაწილეობა, 3) თანმიმდევრულობა, 4) ეფექტურობა, 5) ანგარიშვალდებულობა - ღია და დემოკრატიული საზოგადოებისათვის, მოქალაქეების ჩართულობა, პოლიტიკის ინტეგრაცია, ბიზნესისა და სოციალური პარტნიორების ჩართულობა, პოლიტიკის თანმიმდევრულობა და მართვა.[19]

USAID-ის სათანადო მმართველობის პროგრამა საქართველოში დაიწყო 2011 წლის დასაწყისში და უმკლავდება დემოკრატიულ და სოციალურ გამოწვევებს, რაც ადგილობრივი და ნაციონალური დონის მმართველობის წინაშე დგას. პროგრამას ორი მთავარი მიმართულება აქვს: მმართველობის გაუმჯობესება და გამჭვირვალობა ფედერალურ დონეზე მეტად პასუხისმგებელი, პროფესიონალი და დატვირთული ადგილობრივი მმართველობის წახალისებით.[20]

რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ საქართველოც და ევროკავშირიც ზემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით და შედარებით ადვილი იქნება ევროკავშირის გამოკვლევა, თუმცა ეს თითქმის შეუძლებელია საქართველოსათვის. სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებისა და მაჩვენებლების თანახმად, საქართველო არ არის სტაბილური ქვეყანა და შედეგების ფართო სახესხვაოებები ამის ნათელი მაგალითია. შედეგები მერყეობს ევროპის ყველაზე უსაფრთხო ადგილიდან, ბიზნესის საწარმოებლად ყველაზე ადვილი ქვეყნიდან, წამყვანი რეფორმატორი ქვეყნიდან წარუმატებელი სახელმწიფოების ნუსხის თავში მყოფ ქვეყნამდე და გლობალური შედარებითობის მაჩვენებლის ყველაზე ბოლო პოზიციებამდე.

---

16 კავკასიის კვლევითი რესურს-ცენტრი http://www.crrccenters.org/news/?id=269

17 ევროსტატი და საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო.

18 Ibid

19 2013 ევროკავშირის მდგარდი განვითარების სტრატეგიის მონიტორინგის ანგარიში, ევროსტატი, 2013 გვ. 255-272 http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF

20 USAID http://goodgovernance.ge/portal/alias__G3/lang__en/tabid__4686/default.aspx

3. კლიმატის ცვლილება და ენერგია.

ჩვენს პლანეტაზე და, მით უფრო, ევროპაში მიმდინარეობს დათბობა. გლობალური სახმელეთო და საზღვაო ზედაპირის ტემპერატურა აჩვენებს აშკარა აწევის ტენდენციას. ევროპაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 1.3°C-თ მრეწველობის ფართოდ განვითარებამდე არსებული დონის ზემოთ. 2001 და 2012 წლებს შორის პერიოდი იყო 13 ყველაზე თბილ პერიოდებს შორის. ეს არ არის პანიკის მიზეზი, მაგრამ ჩვენ უნდა შევაჩეროთ ეს ტენდენცია, იმიტომ რომ სხვაგვარად ჩვენი მდგრადი განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუმცა როდესაც საქმე მთელ მსოფლიოს ეხება, მხოლოდ ევროპა ვერ შეცვლის ვერც ადგილობრივ და ვერც გლობალურ სურათს.

პოზიტიური ტენდენცია საქართველოსა და ევროკავშირისთვის არის ის, რომ ჩვენ ყოველ წელს ვაუმჯობესებთ ამ ციფრებს. მაგალითად: ევროკავშირმა შეამცირა CO_2 ის გამოყოფა 4050 მლნ ტონიდან 1990 წელს 3659 მლნ ტონამდე 2010 წელს (მაშინ როცა ჩინეთმა გაასამმაგა თავისი მაჩვენებელი). ასევე, საქართველომ შეამცირა CO_2 -ის გამოყოფა ორჯერ უფრო მეტად 5 წელზე ნაკლებ დროში: 1.350 მლნ ტონიდან 0.6 მლნ ტონამდე.[21] ამავდროულად, CO_2 გამოყოფა სულზე საქართველოში უფრო ნაკლებია (1.17 ტ/სულზე) ვიდრე აშშ-ში (19.1), რუსეთში (11.21), ლატვიაში (3.66) და/ან თურქეთში (3.59).[22]

საქართველო ასევე ამაყობს მისი განახლებადი ენერგიის წყაროს დიდი წილით მთლიანი ენერგიის წარმოებაში, რაც უტოლდება 92% (ჰიდრო-ელექტრო სადგურების წყალობით)! მაშინ როცა ევროკავშირში იგივე პარამეტრი უტოლდება მხოლოდ – 20.1%. თუმცა ევროკავშირის განახლებადი ენერგიის სტრუქტურა მეტად დივერსიფიცირებულია (ბიომასა და ნარჩენები – 67.7%, ჰიდროენერგეტიკა - 18.9%, ქარის ენერგია – 7.7%) [23] და აგრეთვე მისი ენერგო-წარმოება არის უფრო სიცოცხლისუნარიანი (იხ. სურათი №4), ვიდრე საქართველოში, სადაც ალტერნატიული ენერგიის წყაროები ჯერ კიდევ არ არის გამოყენებაში (მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი) მისი სიძვირის გამო.

სურათი №4. ელენერგიის ბრუტო მწარმოებლურობა განახლებული ენერგიიდან ევროკავშირში, 1990–2011 (GW სსაათები)



წყარო: ევროსტატი (ონლაინ მონაცემთა კოდი: nrg_105a)

21 გრინ-ჯორჯია ვებ-გვერდი http://www.greengeorgia.ge/?q=compare-georgia

22 გრინ-ჯორჯია ვებ-გვერდი http://www.greengeorgia.ge/?q=node/44

23 განახლებადი ენერგიის სტატისტიკა http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/Renewable_energy_statistics

4. სოციალური ჩართულობა.

მდგრადი განვითარების გეგმასთან ერთად, ევროკავშირი აქტიურად ცდილობს ჩართოს მისი ყველა მოქალაქე საზოგადოების ყველაზე ხელმოკლე წევრების ჩათვლით. ეს პრიორიტეტი მიზნად ისახავს ისეთი გამოწვევების აღმოფხვრას, როგორიცაა: სიღარიბე, სოციალური გათიშულობა, გენდერული უთანასწორობა და საზოგადოების მრავალი სხვა პრობლემა.

Rio+20 კონფერენციების თანახმად, გენდერული უთანასწორობის შემცირება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ჩვენი სამომავლო მდგრადი განვითარებისათვის. XXI საუკუნეში ქალები ეკონომიკურად ისევ ნაკლებად აქტიურები არიან ვიდრე მამაკაცები, მაგრამ ეს ასე არ არის საქართველოს შემთხვევაში, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი ჯეოსტატის მიხედვით უფრო მაღალია მამაკაცებში (16.1 2012 წელს), ვიდრე ქალებში (13.8 2012 წელს). აქ პრობლემა მდგომარეობს არა გენდერულ დისბალანსში, არამედ უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელში და დაბალ ხელფასებში.[24]

სხვა პოსტ-კომუნისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეკონომიკის ტრანსფორმაცია და სოციალური დაცვის სისტემის მოქმედება ძალიან დაბალი დონიდან დაიწყო. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ ჯერ ვერ მიაღწია წინა-კრიზისის დონეს. მთავარი პრობლემა არის სოცალურად დაუცველი პირების არსებობა. ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფის გამო, რასაც საქართველოში ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში, მისი ბიუჯეტი სულ უფრო და უფრო სოციალურად ორიენტირებული გახდა (სოციალურად-ორიენტირებული ხარჯები დაგეგმილია 35% ის დონეზე 2014 წელს), თუმცა, თავად სახელმწიფო მცირე ბიუჯეტის გამო (9 მლრდ ლარი),[25] მთავრობას არ აძლევს საშუალებას, სათანადოდ დაეხმაროს თითოეულ სოციალურად დაუცველ პირს, უფრო მეტიც, იგი აფერხებს სახელმწიფოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობას. ეს საკითხი დიდი პრობლემაა ასევე ევროკავშირისთვისაც. 2008 და 2012 წლებში, სიღატაკის ზღვარზე მყოფი ადამიანების რიცხვი/სოციალური გათიშულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 7.5 %-ით, 115 მლნ-დან 2008 წელს და დაახლოებით 124 მლნ-მდე 2012 წელს. მაშინ როცა, ეკონომიკური კრიზისამდე, ეს ციფრი თანდანობით მცირდებოდა, მიაღწია მინიმალურ 113.7 მილიონს 2009 წელს. [26]

საქართველო და ევროკავშირი განაგრძობენ ბრძოლას სიღარიბის წინააღმდეგ, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მდგრადი განვითარების მიღწევა, თუმცა ყოველ მონეტას ორი მხარე აქვს და ერთის მხრივ გაუმჯობესება შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც გაუარესება მეორეს მხრივ და ოქროს შუალედი ძნელი საპოვნელია. მაგალითად, 2006 წელს შექმნილი საქართველოს შრომის კოდექსი სრულად ბიზნესზე ორიენტიერებული იყო (მეტი ინვესტიციების მოსაზიდად) და ამ საქმისათვის, საქართველომ დახვეწა თავისი პოზიციები „ბიზნესის კეთების“ მაჩვენებელში. [27] 2012 წელს მოქმედი ახალი ხელისუფლების პირობებში აღნიშნული შრომის კოდექსი შეიცვალა და გახდა უფრო მეტად დასაქმებულებზე ორინტირებული რასაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო ბიზნესს იგი არ მოსწონდა, რადგან მიჩნევდა რომ ბიზნესი კედელთან აღმოჩნდა მიმწყვდეული.

---

[24] სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ევროპის კომისია , 2011.

[25] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://www.mof.ge/5199

[26] საქართველოს ენერგეტიკული მწარმოებლურობის და პროგრამების სიღრმისეული მიმოხილვა http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/Publications/Georgia_EE_2012_ENG.pdf

[27] ვ. ჭარაია, საკამათო თემა, ბიზნეს თაიმ ჯორჯია, #1, 2013 http://btime.ge/page.html?id_node=466&id_file=4279&lang=

5. დემოგრაფიული ცვლილებები.

საქართველოს დემოგრაფიული სურათი ფართო კონტექსტში შეიცვალა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში (თუმცა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა პოზიტიურად შეიცვალა მთლიანი მოსახლეობის 68.8% -დან 1979 წელს 83.8% -მდე 2002 წელს). ძირითადად ეკონომიკური მიგრაციის გამო დაახლოებით ერთმა მილიონმა ქართველმა დატოვა ქვეყანა და დღეს-დღეობით საქართველოს მოსახლეობა ძლივს უტოლდება 4.5 მილიონს (2.4 მილიონი ურბანულ ადგილებში და 2.1 მილიონი სოფლად). ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის მოსახლეობა იზრდება, თუმცა არა შობადობის კოეფიციენტის გაზრდის ხარჯზე (1.45 ბავშვი 1.57 ქალზე 2011 წელს), არამედ მიგრანტების ბუნებრივი შემოდინების გამო. [28]

იმისდა მიუხედავად, რომ ბოლო წლებში: 1) შობადობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (მას შემდეგ, რაც 2007 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელი პატრიარქი ილია მეორე გამოვიდა ინიციატივით პირადად მოენათლა ყველა ოჯახში დაბადებული მესამე შვილი);[29] 2) ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დადებითია; 3) ახალშობილების სიკვდილიანობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირდება 41.6-დან ყოველ 1,000 ცოცხლადშობილზე 1999 წელს, 11.2 -მდე 2012 წელს (25% -ით- მიაღწია ისტორიულ მაქსიმუმს, დამოუკიდელობის მოპოვების შემდეგ), გაეროს გამოთვლებით საქართველოს მოსახლეობა შემცირდება დაახლოებით 1.17 მილიონით 2050 წლისთვის (ევროკავშირი აგრეთვე მოელის შემცირებას, დაახლოებით 14%-ით). თუმცა არსებობს აგრეთვე სხვა გამოთვლაც, აშშ-ს აღწერის ბიუროს მიერ შესრულებული, რომელიც უფრო ლოიალურია საქართველოს მიმართ და აცხადებს, რომ მოსახლეობა გაიზრდება 600 000 ადამიანით 2050 წელს (ევროკავშირის პროგნოზი იგივეა - შემცირება).[30]

საქართველოსთვის, ისევე როგორც ევროკავშირისთვის დიდი პრობლემაა მოსახლეობის დაბერება, რომელიც შეამცირებს მუშახელს (ე.ი. შეამცირებს სახელმწიფო შემოსავლებს) და გაზრდის სახელმწიფო ვალდებულებებს (მაგ. სახელმწიფო გასავლების) საზოგადოების მიმართ, რაც დიდი საშიშროებაა ნებისმიერი ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით საქართველოსა და ევროკავშირისათვის, სადაც მოსახლეობა მცირდება, ხოლო ემიგრაცია იზრდება.

6. ჯანდაცვა.

ჯანმრთელი ცხოვრების წესი კეთილდღეობის და საზოგადოების წინსვლის საწინდარია. საქართველოსა და ევროკავშირში სოციალური დაცვა მოიცავს სამთავრობო პასუხისმგებლობას ჯანდაცვის სფეროში. საქართველოში 2012 წლიდან არსებობს სახელმწიფო დაზღვევის პოლისი, რომლის ფარგლებში დაახლოებით მოსახლეობის ნახევარია დაზღვეული (2.1 მლნ ადამიანი) (სტუდენტები, სოციალურად დაუცველები, 0.5 წლამდე ბავშვები, შეზღუდულუნარიანი პირები, პენსიონრები და სხვა).[31] პროგრამის წყალობით სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტების რიცხვი 2012 წელს დაახლოებით 20%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით (7708-დან 9495-მდე).[32] მსგავსი პოლიტიკა ევროკავშირში მერყეობს ქვეყნიდან ქვეყნამდე და ყველაზე სტაბილურია სკანდინავიის ქვეყნებში.

---

[28] ცენტრალური სადაზვერვო სააგენტი (აშშ) https://www.cia.gov

[29] BBC ნიუსი,ეკლესიის ხელმძღვანელი მოუწოდებს საქართველოს დემოგრაფიული აყვავებისკენ http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7964302.stm

[30] ცენტრალური სადაზვერვო სააგენტი (აშშ) https://www.cia.gov

[31] საერთაშორისო გამჭვირვალობა http://transparency.ge/blog/saqoveltao-janmrtelobis-datsvis-sakhelmtsipo-programa-problemebi-da-rekomendatsiebi?page=2

[32] საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=197&lang=eng

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი ერთ-ერთი მაღალია ევროკავშირში (ქალებისათვის უმაღლესი საფრანგეთში – 85.7 და ყველაზე დაბალი ბულგარეთში – 77.9 და უმაღლესი მამაკაცებისათვის იტალიაში – 80.1 და ყველაზე დაბალი ლიტვაში – 68.1) ხოლო საქართველოში კი საშუალოა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მეორე მაჩვენებელი, რომელსაც „ჯანმრთელი ცხოვრების წლებს" უწოდებენ ბევრად უკეთესია საქართველოში ვიდრე ევროკავშირში (იხილეთ სურათი №5).[33] ამავდროულად უნდა აღნიშნოს, რომ ბოლო წლებში მწვავე და ქრონიკული დაავადებებით სიკვდილიანობის რიცხვი საქართველოში გაიზარდა (მაშინ როცა ევროკავშირში ეს მაჩვენებელი მცირდება), ცხოვრების არაჯანსაღი წესის გამო; თუმცა დადებითი ტენდენციაა ის, რომ თითქმის 20%-ით შემცირდა პაციენტების სიკვდილიანობა ტუბერკულოზით 2009-2012 წლებში, რაც გაუმჯობესებული მკურნალობის დამსახურებაა.[34] მდგრადი განვითარებისათვის, სიცოცხლის ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს ევროკავშირშიც და საქართველოშიც, და ეს უნდა მოხდეს მხოლოდ სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების გზით.

სურათი №5. *სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელი ცხოვრების წლები დაბადებისას, სქესის მიხედვით, EU-27 და საქართველოში*



წყარო: *ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგია 2013 და www.countryeconomy.com*

7. მდგრადი ტრანსპორტი.

ტრანსპორტი სასიცოცხლო როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოებაში, შესაბამისად, სატრანსპორტო საკითხებს ყოველთვის აქვს გავლენა სოციუმსა და გარემოს დაცვაზე. სათბურის გაზების ტრანსპორტის გამონაბოლქვს გავლენა აქვს კლიმატის ცვლილებაზე და ჰაერის დაბინძურებაზე, ხმაურს ნეგატიური გავლენა აქვს ადამიანებზე, და სხვა. თუმცა, არც ევროკავშირის და არც საქართველოს სატრანსპორტო სისტემა ჯერ-ჯერობით მდგრადი არ არის.

ევროკავშირი ცდილობს თავის ქვეყნებში მდგრადი სატრანსპორტო სისტემის მხარდასაჭერად შეიმუშავოს სხვადასხვა პოლიტიკა საგადასახადო შეღავათებით, თუმცა აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ავტომობილების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რაც კაცობრიობას, ინფრასტრუქტურასა და გარემოს აზიანებს. საქართველოში მდგომარეობა კიდევ უფრო უარესადაა: ქვეყანაში შემოდის მე-

[33] ქვეყნის ეკონომიკის ვებ-გვერდი http://countryeconomy.com/
[34] საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=197&lang=eng

ორადი ავტომობილები ევროპიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან (საშუალოდ 10 წლის), რაც იწვევს უარყოფით შედეგებს. უფრო მეტიც, საქართველოში, განსხვავებით ევროკავშირისაგან, ავტომობილების შემოწმება არ არის სავალდებულო (იგი მოიხსნა 2005 წლიდან, თუმცა სავარაუდოა, რომ ხელახლა დაინერგოს მომავალ წელს, ევროკავშირის AA მოთხოვნის მიზეზით).

8. ბუნებრივი რესურსები.

ხმელეთი და წყალი არის ქვეყნის ბიო-ფიზიკური საფარი. ხე-ტყით დაფარული ადგილები ევროკავშირის მთლიანი ტერიტორიის 41.2 %-ს იკავებდნენ 2012 წელს. შვედეთში იგი მთლიანი ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტია (75.6 %), შემდეგია ფინეთი (71.8 %) და ესტონეთი (60.6 %). სკალის მეორე ბოლოში, ხე-ტყით დაფარული ადგილები მეტად შეზღუდულია ირლანდიაში (13.2 %), ნიდერლანდებში (12.6 %) და მალტაში (5.1 %).[35]

საქართველოში ტყე იკავებს მისი ზედაპირის დაახლოებით 40%-ს. საქართველო ძალიან მდიდარია წყლის რესურსებით. აქ არის 26060 მდინარე მთლიანი სიგრძით 59 ათასი კილომეტრი, რომელთაგან უმეტესობა პატარა მდინარეებია, (25 კმ-მდე). საქართველოში მრავალი თერმული და მინერალური წყლის ნაკადული, აგრეთვე ბუნებრივი და მექანიკური წყალსაცავია.[36]

დიდი გონებამახვილობა არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ბუნებრივი რესურსები ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი განვითარების ძირითადი ელემენტია, განსაკუთრებით ევროკავშირისა და საქართველოსთვის - რომლებიც განსაკუთრებით მდიდარ რესურსებს ფლობენ. ამგვარად, თუ ევროკავშირის და საქართველოს მოხმარების ჩვევა მიიღებს ბიოსფეროსა და ეკოსისტემის ფიზიკურ ლიმიტებს, ეს მათ მიიყვანს ეკოლოგიაზე უფრო მეტად ორიენტირებულ ეკონომიკასთან და შესაბამისად, მთლიანი კაცობრიობის კეთილდღეობა გაუმჯობესედება. ამ მიზნით, ევროკავშირი ცდილობს გაუფრთხილდეს ბუნებრივ რესურსებს შემდეგი კურსების საშუალებით: საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, საერთო მეთევზეობის პოლიტიკა, ევროკავშირის ადაპტაციის სტრატეგია, ევროკავშირის მწვანე ინფრასტრუქტურის სტრატეგია და სხვა. ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ადგილას, საქართველოში არსებული სიტუაცია შორსაა სრულყოფილებისგან, თუმცა შეინიშნება გაუმჯობესების ტენდენციები, რაც მდგრადი განვითარების მიმდევრებს პოზიტიურ სიგნალს აძლევს (სპეციალური ტერიტორიების ქვეყნის ტერიტორიის 11%-მდე გაზრდა, სადაც ველური ბუნება შენახული და დაცულია).

9. მდგრადი მოხმარება და წარმოება.

2011 წელს ენერგიის მოხმარება EU-27-ში (იხილეთ სურათი №6), წინა წლების მსგავსად, ძირითად დომინირებულია სატრანსპორტო სექტორის მიერ, მოიცავს მოხმარების ერთ მესამედს. შემდეგია საოჯახო მეურნეობა და სამრეწველო სექტორი და შეადგენს საბოლოო ენერგიის მოხმარების 25%-26%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტისა და მომსახურების სექტორი მნიშვნელოვნად გაიზარდა (თითოეული 1/3-ით) 90-იანებთან შედარებით. აგრეთვე ენერგო-ინტენსიურმა ტექნოლოგიებმა (კომპიუტერი, ჰაერის კონდიცირება და ა. შ.) მნიშვნელოვნად გაზარდეს ენერგიის მოხმარება მომსახურების სექტორში.[37] საქართველოს შემთხვევა მცირედით განსხვავებულია.

---

[35] 2013 ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მონიტორინგის ანგარიში, ევროსტატი, 2013 გვ. 217-234 http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF

[36] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო http://moe.gov.ge

[37] 2013 ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მონიტორინგის ანგარიში, ევროსტატი, 2013, გვ 67-96 http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-02-13-237/EN/KS-02-13-237-EN.PDF

ენერგიის მოხმარების ძირითადი სექტორია საოჯახო მეურნეობა, მას მოსდევს ტრანსპორტისა და მრეწველობის სეგმენტი, განსხვავებით *EU-27*-სგან. თუ მარცხენა სურათები გვიჩვენებს (EU-27) ენერგიის მოხმარების განაწილებას განვითარებული მსოფლიოსათვის, მეორე მხარეს შეგვიძლია ვიხილოთ როგორ ფუნქციონირებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, სადაც საცხოვრებელი სექტორი მოიხმარს ორჯერ მეტ *Ktoe* (ნავთობის მილიონი ტონის ექვივალენტი) ვიდრე სამრეწველო სექტორი და მომსახურების % საბოლოო ენერგიის მომხარებაში დაახლოებით ორჯერ ნაკლებია საქართველოში *EU-27*-თან შედარებით. [38]

სურათი №6. *საბოლოო ენერგიის მოხმარება, სექტორით, EU-27 და საქართველო*



წყარო: *საერთაშორისო ენერგიის სააგენტო (IEA)* [39]

მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ჩვენ არ ვიყენებთ ჩვენს ენერგეტიკულ რესურსებს მშენებლობისა და ახალი საქონლის წარმოებისათვის, რომელიც შეცვლიდა უცხოეთიდან იმპორტს მოკლე ვადაში და წარმოქმნიდა მეტ საექსპორტო პროდუქტს ხანგრძლივი ვადით, ანუ ჩვენ უბრალოდ ვაკმაყოფილებთ ყოველდღიურ საჭიროებებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - ამ მიდგომით შეუძლებელია მივაღწიოთ მდგრად განვითარებას.

ევროკავშირი სჯობნის რუკაზე მოცემული ქვეყნების უმრავლესობას; ერთად ერთი სურპრიზი ევროკავშირისათვის არის კორეა, სადაც მთლიანი ნარჩენების დაახლოებით 50% გადამუშავდება (სურათი №7). იგივე პარამეტრი ევროკავშირში არის 40%. სამწუხაროდ, საქართველოში არასახარბიელო სიტუაციაა, რადგან ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება. თუმცა, ინვესტიციები ჩადებულია და გამოთვლების თანახმად, მთლიანი ნარჩენების დაახლოებით 9% შესაძლოა გადამუშავებული იქნას 2034 წელს.[40] მაშ, დაველოდოთ და ვნახოთ.

---

38 საქართველოში ენერგო-ეფექტურობის პოლიტიკის და პროგრამების სიღრმისეული მიმოხილვა *http://www.encharter.org/fileadmin/user_upload/Publications/Georgia_EE_2012_ENG.pdf*

39 ენერგეტიკული ბალანსების სტრატეგია http://www.iea.org/statistics/topics/energybalances/

40 მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების მომავალი საქართველოში http://liberali.ge/ge/liberali/ articles /113985/

სურათი №7. *მუნუციპალური ნარჩენების გადამუშავება, ქვეყნების და რეგიონების მიერ, 2011* [41]



წყარო: *ევროსტატი (ონლაინ მონაცემების კოდი: tsdpc240)*

10. გლობალური პარტნიორობა

გლობალური პარტნიორობის კონსულტაციები ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტი უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ცალკე მოქმედი ინდივიდუალური ქვეყნები დასაწყისისთანავე მარცხისათვის არიან განწირულები. საერთაშორისო ორგანიზაციები სწორედ, ამ მიზნისათვის შეიქმნა; კერძოდ, რომ გაეერთიანებინა ქვეყნები და რეგიონები ერთი იდეის გარშემო, რომელიც ორიენტირებული იქნება ყველას კეთილდღეობაზე.

ამ მიზნით, შემუშავებული იქნა სხვადასხვა პოლიტიკა; მაგალითად: ევროპის კონსენსუსი განვითარებაზე (მიღებული 2005 წელს) აჩვენებს ევროკავშირის თავდადებას სიღარიბის შემცირებისა და მსოფლიოში მშვიდობიანი განვითარების მხარდაჭერისაკენ.[42] დოკუმენტი განსაზღვრავს საერთო ღირებულებებს, მიზნებსა და ვალდებულებებს, რომლებიც პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების განვითარების პოლიტიკაში. 2012 წელს ევროპის საბჭომ მიიღო „ცვლილების დღის წესრიგი“, რომელიც ფოკუსირებულია:

1. ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე და სხვა სათანადო მმართველობის ძირითად ელემენტებზე, ასევე

2. ჩართულობაზე და მდგრად ზრდაზე ადამიანთა განვითარებისათვის.[43]

გლობალური პარტნიორობის ზოგიერთი მაგალითი საქართველოსათვის არის: მსპ+ ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირთან, რომელიც ბევრ უპირატესობას სძენს საერთაშრისო ვაჭრობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტია ასოცირების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს შანსს აძლევს სრულად აუწყოს ფეხი ევროკავშირის სტანდარტებს და ითანამშრომლოს მინიმალური ბარიერებით.

---

[41] *NB: 2003 მონაცემები (2011 წლის ნაცვლად) AUS და JP-თვის; 2004 მონაცემები (2011წლის ნაცვლად) კორეის რესპუბლიკისათვის; 2005 მონაცემები (2011 წლის ნაცვლად) აშშ-თვის; 2006 მონაცემები (2011 წლის ნაცვლად) მექსიკისათვის; 2011 მონაცემები EU-27 და საქართველოსათვის.*

[42] ევროპული კომისია, ევროპის კონსენსუნსი განვითარებაზე http://ec.europa.eu/europeaid/what/development-policies/european-consensus/index_en.htm

[43] ევროპული კომისია, დღის წესრიგი ცვლილებისათვის http://ec.europa.eu/europeaid/news/agenda_for_ change _en.htm

მსპ+ უზრუნველყოფს შეღავათებს განვითარებადი ქვეყნებისათვის (შემცირებული ან სპეციალური ტარიფები), რაც მოიცავს პროდუქტის 7200 სახეობას, რომელიც შესაძლოა იმპორტირებულ იქნას ევროკავშირში სპეციალური პირობებით სანიტარულ და ფიტო-სანიტარულ ნორმებთან სათანადო შესაბამისობის შემთხვევაში. საქართველოსათვის სამწუხაროდ, მისი სტრატეგიული საქონელი - ღვინო და მინერალური წყლები არ შედის „მსპ+"-ის ნუსხაში და შესაბამისად იბეგრება ევროკავშირის ბაზარზე შეტანისას.

მეორეს მხრივ DCFTA უზრუნველყოფს საქართველოს შესაძლებლობით, ივაჭროს ევროკავშირთან თავისუფალ სავაჭრო რეჟიმში, რა თქმა უნდა შესაბამისი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში. ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მოკლე პერიოდში ძვირი იქნება საქართველოს მთავრობისთვის, თუმცა ეს რეალურად მომგებიანი გრძელვადიან პერსპექტივაში. გაეროს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგების თანახმად, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედება ევროკავშირსა და საქართველოს შორის შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი შედეგი:[44]

- ✓ უმნიშვნელო უარყოფითი გავლენა ფისკალურ შემოსავლებზე;
- ✓ უმნიშნელო დადებითი გავლენა ადგილობრივი წარმოების ყველა სექტორზე;
- ✓ მოსახლეობის შეძენისუნარიანობისა და ნომინალური მშპ-ის ზრდა;
- ✓ პირდაპირი ინვესტიციების ზრდა და უფრო ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა.

დასკვნა

მაშინ როცა ევროკავშირი თავს აღწევს 2008 წლის მსოფლიო ფინანსურ კრიზისს და უკან ბრუნდება თავის წამყვან პოზიციებზე სხვადსხვა სფეროში (მდგრადი გზით), საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისათვის (მდგრადი გზით) არ არსებობს თავის სანუგეშებელი ოპტიმისტური რეალობა.

ერთი შეხედვით ნათელია, რომ საქართველოს მომავალი უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული მდგრად განვითარებასთან, თუმცა, მეორეს მხრივ მუდმივი ყალბი პროექტები დღითი-დღე ანგრევენ საქართველოს ეკონომიკას და სინათლე გვირაბის ბოლოს სწრაფად ქრება. საჭიროა სწრაფი ჩარევა. ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა და გარემოს დაცვა დაბალანსებული უნდა იქნას მდგრადი განვითარების სახელით.

საქართველომ, ისევე როგორც ევროკავშირმა (შედარებით ნაკლებ კონტექსტში), ბევრი უნდა იმუშაოს შემდეგ სფეროებში: ჰაერის დაბინძურების შემცირება, სუფთა სატრანსპორტო სისტემის შექმნა და გაუმჯობესება; ფოკუსირება ბიოპროდუქტების მასობრივ წარმოებაზე; მხოლოდ „მწვანე" ინვესტიციების მოზიდვა; თანამშრომლობა საერთაშორისო საზოგადოებასთან გლობალური მდგრადი პროექტებისათვის, უკეთესი სოციალური დაცვის სისტემის შექმნა; უკეთესი ჯანდაცვა, კლიმატის ცვლილება ადგილობრივ და გლობალურ დონეზე და სხვა.

შესაბამისად, საქართველოში უნდა შეიქმნას პროექტები როგორც ხანმოკლე ისე ხანგრძლივი პერიოდისათვის. მოკლევადიანი საქმიანობები შესაძლოა იყოს: 1. უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირის ინსტიტუტებთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში; 2. სხვადასხვა ქვეყნებიდან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მოწვევა, რათა გამოყენებული იქნას მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკები და მორგებული იქნას ისინი საქართველოს რეალობასთან. ხოლო რაც შეე-

[44] ვ. ჭარაია, „აღმოსავლეთი პარტნიორობის სტატუს ქვო შეფასება და სამომავლო პერსპექტივები", ევროკავშირში ინტეგრირების საკითხები - ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთი კავკასია, ეკონომიკისა და სოციალური კვლევის კავკასიის ინსტიტუტი, თბილისი, 2013. http://www.csogeorgia.org/uploads/library/108/EU_Integration__Issues_Visegrad_Caucasus-geo.pdf.

ხება ხანგრძლივ პერსპექტივაში იდეებს, შესაძლოა იყოს: 1. გრძლევადიანი გეგმების შექმნა, როგორიცაა „საქართველო 2020“, განსაკუთრებული ფოკუსირებით მდგრად განვითარებაზე; 2. უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ევოკავშირის ორგანიზაციებთან და ადეკვატური რეკომენდაციების დაცვა, რაც ყოველთვის პრობლემაა საქართველოსთვის; 3. განსაკუთრებული შესწორებები კანონში, რომელიც დაავალდებულებს ინვესტორებს მეტად დაინტერესებულნი იყვნენ არა მხოლოდ მოგების მიღებაში, არამედ ეკონომიკის მდგრადი ზრდის მხარდაჭერაში საქართველოში.

ერთადერთი მომავალი, რაც საქართველოს და ევროკავშირს აქვთ, არის მდგრადი მომავალი მდგრად გარემოში.

ლიტერატურა:

1. ქ. კროსინსკი, ნ. რობინსი, ევოლუციები მდრაგ ინვესტირებაში …, ვილი ფინანს, 2011.
2. ევროპული კომისია, საერთაშორისო ვაჭრობა და FDI, ევროსტატი, 2013 გამოცემა.
3. ევროპული კომისია, EU SDS-ს მონიტორინგის ანგარიში, ევროსტატი, 2013.
4. ევროპული კომისია, ევროპის კონსენსუსი განვითარებაზე, 2005.
5. სიღრმისეული მიმოხილვა ენერგეტიკული მწარმოებლურობის პოლიტიკებისა და პროგრამების შესახებ საქართველოში, ECS, 2012.
6. ჯ. ბლევიტი, მდგრადი განვითარების გაგება, Earthscan, 2008.
7. ჯ. ისტს, სმარტ გრინ: როგორ განვახორციელოთ მდგრადი ბიზნესის პრაქტიკები …, ვილი, 2009.
8. ლ. თოდუა, ს. მურღულია, მდგრადი განვითარება და რეფორმები საქართველოში, CSRDG, 2011.
9. ნ. ხადური, საქართველოს ეკონომიკის ანალიზი და პერსპექტივები …, PMC ჯგუფი, 2010.
10. პ. მაკნამარა, მდგრადი ინვესტირება უძრავ ქონებაში, PEI, 2011.
11. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, ევროპული კომისია, 2011.
12. გაერო, “მსოფლიო კომისიის ანგარიში გარემოსა და განვითარების შესახებ”, გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება 42/187, 1987.
13. გაერო, მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური კვლევა 2013, მდგრადი განვითარების გამოწვევები.
14. UNEP, “მწვანე ეკონომიკის მიმართულებით: გზა მდგრადი განვივთარებისაკენ , 2011. გვ.16.
15. ვ. ჭარაია, „აღმოსავლეთი პარტნიორობის სტატუს ქვო შეფასება და სამომავლო პერსპექტივები“, ევროკავშირში ინტეგრირების საკითხები - ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთი კავკასია, CIESR, თბილისი, 2013.
16. ვ . ჭარაია, საკამათო თემა, ბიზნეს თაიმ ჯორჯია, #1, 2013.
17. ვ. პაპავა, ეკონომიკის რეფორმები პოსტ-კომუნისტურ საქართველოში, Nova Science Pub Inc, 2013.
18. ვ. პაპავა, ნეკროეკონომიკა: პოსტ-კომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა , iUniverse, 2005.
19. ვ. პაპავა, ულტრატრადიციული ეკონომიკა, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2011.

ელექტრონული წყაროები:

1. www.cia.gov
2. www.crrccenters.org/
3. www.ec.europa.eu/eurostat
4. www.economy.ge
5. www.geostat.ge
6. www.goodgovernance.ge/
7. www.greengeorgia.ge
8. www.moe.gov.ge/
9. www.mof.ge/en/
10. www.transparency.ge